პროექტი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №

2022 წლის ----- ივლისი
ქ. წყალტუბო

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის მიერ 2022 წლის 6 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოისმინა ანგარიში, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის მიერ 2022 წლის 6 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ (თან ერთვის).

აღინიშნა, რომ წარმოდგენილი ანგარიში შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და სათანადო დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N36 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 25–ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს ანგარიში წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის მიერ 2022 წლის 6 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.

2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის მიერ 2022 წლის 6 თვეში გაწეული მუშაობა შეფასდეს დადებითად.

3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

მოამზადა

მეორადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი მ. ბერაძე

შეთანხმებულია

აპარატის უფროსი გ. თათარაშვილი

კომისიის თავმჯდომარე რ. დიდავა

საქართველო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია
GEORGIA
CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY

წერილის ნომერი: **48-482220211**
თარიღი: **21/07/2022**

ადრესატი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ თეიმურაზ ჭეიშვილს

ბატონო თეიმურაზ,

საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გიგზავნით მერიის სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის ანგარიშს 2022 წლის 6 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.

დანართი 6 ფურცლად.

პატივისცემით,

გენადი ბალანჩივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

საქართველო, 5400, წყალტუბო, რუსთაველის ქ. N25, ტელეფონი (+995)595 95 90 72;
ელ-ფოსტა: tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge, ვებ-გვერდი: www.tskaltubo.gov.ge
Georgia 5400 Tskaltubo, Rustaveli st.N25; Phone: (+995)595 95 90 72; E-mail:
tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge; Website: www.tskaltubo.gov.ge

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის,
ინფრასტრუქტურის,არქიტექტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის
ანგარიში 2022 წლის 6 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და კეთილმოწყობის სამსახურმა 2022 წლის 6 თვეში მრავალი ღონისძიებები განახორციელა მუნიციპალიტეტში საინჟინრო და საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის (პროგრამული კოდი 02 01), გზებისა და ტროტუარების კაპიტალური შეკეთების (ქვეპროგრამა 02 01 01), წყლის სისტემების განვითარების (პროგრამა 02 02), საკანალიზაციო და სანიაღვრე არხების მოწყობა- რეაბილიტაციის (ქვეპროგრამა 02 02 04), ტერიტორიების კეთილმოწყობის (პროგრამა 02 06), საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობის, საცხოვრებელი სახლების ფასადებისა და შენობა-ნაგებობების არქიტექტურული იერსახის (ქვეპროგრამა 02 06 02) გასაუმჯობესებისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ხელშემწყობი პროგრამის (პროგრამული კოდი 02 05) განვითარებისათვის.

დებულებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში სამსახურს კონტროლზე ჰქონდა აყვანილი თითოეული ინფრასტრუქტურული პროექტის მითითებულ ვადებში დასრულებისა და მათი ხარისხობრივი შესრულების საკითხები.

საანგარიში პერიოდში 2021-2022 წლების დაფინანსების ფარგლებში **დასრულდა რგფ-ის მიერ დაფინანსებული მსხვილი საგზაო ინფრასტრუქტურული სამუშაოები:** სოფ წყალტუბოში (მეორე უბნის და სოფელ ჩუნეშის დამაკავშირებელი გზის დარჩენილი ნაწილის) სოფ. წყალტუბოში მე-10 ქუჩის, სოფ. გვიშტიბში 35 ქუჩის და სკოლასთან მისასვლელი გზების, ასევე სოფ. გვიშტიბში ბეკნარას უბნის გაგრძელებაზე გზების რეაბილიტაციის (ღირებულ-1048999 ლ), სოფლების პატრიკეთისა და გეგუთის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაციის, ასევე ქ. წყალტუბოში გოგებაშვილის ქ 2 ბ საცხოვრებელი სახლის მიმდებარედ გზის რეაბილიტაციის (ღირებულება-248692 ლ), სოფ. მაღლაკში მე -8 და მე- 9 ქუჩებზე გზების ბეტონის საფარით რეაბილიტაციის (ღირებულება 477493 ლ), ხომულისა და ქვილიშორის დამაკავშირებელი გზის, ასევე სოფ ჩუნეშში ტაძართან მისასვლელი გზის (ღირებულება-547975 ლ) რეაბილიტაციის სამუშაოები.

სანგაროშო პერიოდში დასრულდა 2021 წელს ადგილობრივი ბიუჯეტით დაფინანსებული **გარდამავალი** პროექტები: ქ. წყალტუბოში მე- 3 საჯარო სკოლის სახურავის ნაწილობრივი შეკეთების (სამუშაოების ღირებულება 4224 ლ), ქ. წყალტუბოში სამხატვრო სკოლის შეკეთების (ღირებულება 12687 ლ), სოფ. გვიშტიბის საჯარო სკოლაში გათბობის ქვაბის მოწყობის (ღირებულ-4285ლ), მუსიკალური სკოლის ფასადის რეაბილიტაციის (ღირებულება - 64662 ლ), სოფ. ტყაჩირსა და ახალ

საყულიაში გარე განათების ქსელის მოწყობის (ღირებულება- 22477 ლ),სოფ. რიონში სასმელი წყლის ქსელის მოწყობის (ღირებულება- 774421 ლ), სოფ. მუხიანში ქაჭარის უბანში და სოფ. საყულიაში მინი სპორტული მოედნების მოწყობის (ღირებულება -112883 ლ), სოფლების რიონისა და სორმონის დამაკავშირებელი გზის სამუშაოები.

საანგარიშო პერიოდში კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურების დაცვით ტენდერში გამარჯვებულ კომპანიებთან გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვის **40** სხვადასხვა მიმართულების ინფრასტრუქტურული ხელშეკრულება რომელთაგან **21 პროექტი დასრულებულია, თითოეული პროექტი სამსახურის** მიერ მოქალაქეთა განცხადებების და მოთხოვნების საფუძველზეა შერჩეული. მსხვილი საგზაო ინფრასტრუქტურული პროექტები შეტანილია წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2020-2024 წლების სამოქმედო გეგმაში და ფინანსდება რეგიონული განვითარების ფონდის მიერ.

სამსახურის მიერ გასული წლის ბოლოს ინფრასტრუქტურის სამინისტროში წარდგენილი საპროექტო წინადადებების გათვალისწინებით, რომლებიც მოწონებული იყო მუნიციპალიტეტის საკრებულოს და სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს მიერ **რგფ-მა პირველ ეტაპზე დააფინანსა 8 მსხვილი** საგზაო ინფრასტუქტურული პროექტი. გამოყოფილი დაფინანსების ფარგლებში **საანგარიშო პერიოდში** მუნიციპალიტეტის **10 სოფელში დასრულდა** ადგილობრივი მნიშვნელობის და შიდა სასოფლო გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები, კერძოდ: ქუთაისი- ნოღას დამაკავშირებელი გზა (მეორე ეტაპი), სოფელ ბანოჯაში ბარბარეწმინდას უბანში, ასევე მე-2, მე-6, 21-ე, 22-ე და 26-ე ქუჩებზე, სოფელ გეგუთში ვაჟა-ფშაველას ქუჩაზე, სოფელ ტყაჩირში აშვეთიების უბანში, სოფელ საყულიაში სვანაძეების უბანში, ახალ საყულიაში (სვანების დასხლება) პირველ და მე-2 შესახვევში, სოფ.მაღლაკში №5, №7, №8, №9, №10, ასევე ჩეჩელაშვილების უბანში, სოფელ უკანეთში და სოფელ რიონში მამრიკიშვილების უბანში ტაძართან მისასვლელი გზები, რომლებზეც მოეწყო ბეტონის საფარი. შესრულებული სამუშაოების ჯამური სახელშეკრულებო ღირებულება - 4878916 ლარია

დასრულებულია მ/ წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებული სოფელ რიონის საჯარო სკოლის სპორტული დარბაზის რეაბილიტაციის (ღირებულებით 17498 ლ) და ტაბიძის ქუჩაზე სარკინიგზო გადასასვლელის მოწყობის (ღირებულებით-15410 ლ) სამუშაოები. სოფელ მუხიანის ადმინისტრაციულ ერთეულში, ბროწეულას დასახლებისათვის შეძენილი იქნა საკანალიზაციო გადამქაჩი სადგურის ტუმბო-აგრეგატი.

„ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში საანგარიშო პერიოდში ტენდერში გამარჯვებულ კომპანიებთან გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვების **8** ხელშეკრულება **14** საცხოვრებელ კორპუსში სახურავებისა და სადარბაზოების თანადაფინანსებით შეკეთების თაობაზე, რომლის ფარგლებშიც მუნიციპალიტეტის მერიის 85%-იანი თანადაფინანსებით **დასრულდა:** ქ. წყალტუბოში, თამარ მეფის ქუჩა N16-ის მე-3 სადარბაზოს, აკ. შანიძის ქუჩა №9, გ.ტაბიძის ქუჩა N3ა-ს პირველი სადარბაზოს სახურავის, ჩოლოყაშვილის ქუჩა N1-ის მეორე სადარბაზოს შეკეთებისა და ეზოს კეთილმოწყობის, აკ. შანიძის ქუჩა №4 სახლის სახურავის , გ. ტაბიძის

ქუჩა N13-ის, დედაენის ქ. № 34-ის,თამარ მეფის № 17-ის, დედაენის ქ. № 20-ის,ბესიკის ქჩი № 11-ის და 9 აპრილის № 1ა საცხოვრებელი კორპუსების სახურავების შეკეთების სამუშაოები. **მიმდინარეობს:** სოფ. მაღლაკში იმერეთის საყრდენ პუნქტში № 3, დედაენის № 22 და კოსტავას ქ. № 2 საცხოვრებელი სახლების კორპუსების სახურავების შეკეთებითი სამუშაოები. სულ თანადაფინანსებით საცხოვრებელი სახლების სახურავების, სადარბაზოების შეკეთებითი სამუშაოებისათვის მიმდინარე წელს - **350000 ლარია** გამოყოფილი (50 ათასი ლარით მეტი გასულ წელთან შედარებით). როგორც მერიაში შემოსული განცხადებების ანალიზმმა გვიჩვენა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მოთხოვნა ამ მიმართებით სამუშაოების განხორციელებაზე კვლავინდებურად მაღალია და სავარაუდოდ ადგილობრივი ბიუჯეტის შესაბამისი პროგრამული მუხლიდან დაფინანსება დამატებით იქნება გამოსაყოფი.

,,განახლებული რეგიონების“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში **მუნიციპალური განვითარების ფონდის** დაკვეთითა და დაფინანსებით, ტაბიძის ქუჩაზე მიმდინარეობს საცხოვრებელი კორპუსების ფასადების რეაბილიტაციის, გზის გასწვრივ არსებული ტროტუარების და სივრცეების კეთილმოწყობის, გ. ტაბიძისა და აკ. შანიძის ქუჩების დამაკავშირებელი კიბეების რეაბილიტაციის სამუშაოები, რომელიც დაფინანებულია **მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ.** მგფ-მა სამსახურის მიერ წარდგენილი წინადადებების გათვალისწინებით სარეაბილიტაციო საცხოვრებელი სახლების ნუსხაში დამატებით შეიტანა შანიძის ქ. № 4 მრავალბინიანი სახლის ფასადის სარეაბილიტაციო სამუშაოები. სანგარიშო პერიოდში დასრულდა მარჯანიშვილის მოედნის რეაბილიტაციის სამუშაოები.

საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის დაკვეთით ქ. წყალტუბოში დაიწყო კანალიზაციის გარეშე დარჩენილ ქუჩებში საკანალიზაციო ინფრასტრუქტურის მოწყობის მასშტაბური სამუშაოები, რომლის დასრულების შემდეგ მოსახლეობისათვის ეს პრობლემა მთლიანად იქნება მოგვარებული და მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ქალაქის სანიტარულ- ჰიგიენურ მდგომარეობას. სამუშაოების მთლიანი ღირებულება 25 მილიონამდე ლარია.

,,საქართველოს რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრმის“ ფარგლებში სამსახურის მიერ საგრანტო კონკურსში გამარჯვების შედეგად მუნიციპალიტეტში დაფინანსდა 3 საგრანტო პროექტი: საანგარიშო პერიოდში დასრულდა თამარ მეფის ქუჩაზე, სოფ. გუმბრაში შპს ,,ჰერბიასთან “ მისასვლელი გზის ა/ ბეტონის საფარით რეაბილიტაციის (სახელშეკ. ღირებულებით - 1329754 ლარი) და ქ. წყალტუბოში ,,ცივი ტბის“ მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული თანმხლები ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისა და სანიტარული წერტილების მოწყობის სამუშაოები (სახელშეკრ. ღირებულებით - 92278 ლარი). მიმდინარეობს სოფელ ყუმისთავში „გაბზარულ ტბა“-სთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით (სახელშეკრ. ღირებულებით- 1047047 ლარი).

საანგარიშო პერიოდში დასრულდა 2022 წლის 22 და 23 მარტს მომხდარი სტიქიის (ძლიერი ქარი) შედეგად, სოფელ ფარცხანაყანევში (კოპიტნარის დევნილთა დასახლებაში), ქალაქ წყალტუბოში: კოლხეთის ქუჩაზე №6, ბესიკის ქუჩაზე №1, თამარ მეფის ქუჩაზე №11, დედა ენის ქუჩაზე №9, 26 მაისის

ქუჩაზე №3, 9 აპრილის ქუჩაზე № 3 და №7 საცხოვრებელი კორპუსების დაზიანებული სახურავების სარეაბილიტაციო სამუშაოები-(ღირებულებით110000 ლარი)

საანგარიშო პერიოდში სოფლებში ცხუნკურში, წყალტუბოში, ქვილიშორში ხომულში, ქ. წყალტუბოში ცენტრალური საავტომობილო გზის, სოფ. გვიშტიბში, მეჩხერში, სორმონში, რიონწში, ჭოლევში, ოფურჩხეთში, ნამოხვანში, დერჩში მაღლაკში, დღნორისაში ჭაშლეთში, საჩხეურში გრძელდებოდა გზების სტიქიის ნარჩებებისაგან გაწმენდის პირველი და მეორე ეტაპის სამუშაოები. სამუშაოები ამ მიმართებით მ/ წლის ბოლომდე გაგრძელდება (სახელშეკრულებო ღირებულება 95940 ლარია). მ/ წლის ივნისის თვეში სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის აღმოფხვრის მიზნით დამატებით გაფორმდა ხელშეკრულება 35000 ლარის ღირებულების გაწმენდით და შეკეთებით სამუშაოებზე.

წყალტუბოს კეთილმოწყობისა და საზოგადოებრივი სივრცეების გაფართოების, სანიტარულ - ჰიგიენური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით **„სამოქალაქო ბიუჯეტის“ პროგრამის** ფარგლებში შეძენილია 36 ხის ძელ სკამი წარწერით „ წყალტუბო“ (ღირებულ-17944 ლ) და ხის 50 ცალი სანაგვე ურნა. -11950 ლ, მიმდინარეობს წყალტუბოს მუნიციპალიტეტისთვის 222 ცალი ხის სანაგვე ურნის შესყიდვის პროცედურები(სახელს. ღირებულება 39073 ლ,რუსთაველის ქუჩაზე განხორციელდა საზოგადოებრივი სივრცის მოწყობისა და ხეების დარგვის, მათი მოვლა- გადაბელვის სამუშაოები - - ღირებულება -61766 ლ.

"სამოქალაქო ბიუჯეტის" ფარგლებში შესყიდულია მოსახლეობის მიერ წარდგენილი საპროექტო ინიციატივის გათვალისწინებით საქართველოს რუკის კონტურის ფორმის ქუჩების დასახელებებისა და ნუმერაციის აღმნიშვნელი აბრები (თანმდევი მონტაჟის მომსახურებით).

დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში მუნიციპალიტეტისათვის საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის მიზნით საგანმანათლებლო და სამეცნიერო განვითარების საგენტოს მიერ გამოყოფილი დაფინანსებით შპს „მარმენიოს“ გაწეული მომსახურებისათვის 2022 წლის იანვარში ჩაერიცხა - 40452 ლარი, 2022 წლის 14 ივნავარს გაფორმებული ხელშეკრულებით იანვარში გაწეული მომსახურებისათვის -20892 ლარი, თებერვალში გაწეული მომსახურებისათვის - 30070 ლარი, მარტში- 35516 ლარი, აპრილში-39694 ლარი, მაისში-39694, ივნისში-22981 ლარი.

საანგარიშო პერიოდში დაიწყო და მიმდინარეობს სოფელ გუმბრაში (გუმბრინის დასახლება) მე-12 და მე-13 ბინების საკანალიზაციო ქსელის მოწყობის - (ღირებულებით 106751 ლ), ქალაქ წყალტუბოში, ევდოშვილის ქუჩაზე წყალშემკრები არხების და ფერდის შემაკავებელი კედლის მოწყობის, ასევე ლერმონტოვისა და კეცხოველის ქუჩებზე, გოგებაშვილის ქუჩაზე წყალშემკრები არხების მოწყობის (ღირებულებით 449180 ლ), ქ. წყალტუბოში, 9 აპრილისა და რუსთაველის ქუჩების დამაკავშირებელი გზის, ცენტრალური ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე გზების რეაბილიტაციის სამუშაოები (ღირებულებით 273555 ლ),სოფელ ყუმისთავში გაბზარულ ტბასთან მისასვლელი გზის მიმდებარედ და სოფელ გვიშტიბში ბობოხიძეების უბანში გარე განათების ქსელის მოწყობის

სამუშაოები (ღირებულ. 47300 ლ), სოფელ რიონში მდებარე N29.06.38.014 და N29.06.42.197, სოფელ ზარათში მდებარე N29.06.36.139 და სოფელ მაღლაკში მდებარე N29.10.31.103 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე განთავსებული შენობა-ნაგებობების დემონტაჟის (ღირებულებით 12000 ლ.), სოფელ მაღლაკში (იმერეთის საყრდენი პუნქტი) N3 საცხოვრებელი ბინის სახურავის მოწყობის (ღირებულებით 22422 ლ) სამუშაოები.

,, სოფლის მხარდაჭერის " 2022 წლის პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტს გამოეყო 704 000 ლარი. მუნიციპალიტეტის ყველს სოფელში მ/ წლის თებერვალში ჩატარდა მოსახლეობის კრებები. მათი აქტიური მონაწილეობით, თითოეული სოფლისათვის გამოყოფილი დაფინანსების ფარგლებში შერჩეული იქნა 59 პროექტი, რომლებიც ითვალისწინებს შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაციის, მზა ბეტონის და სასმელი წყლის მილების შეძენის , სპორტული მოედნების მოწყობის, სკვერების რეაბილიტაციის, საბავშვო- გასართობი ატრაქციონების, გარე განათების ქსელების, ღვარსადენი არხების მოწყობის სამუშაოებს. ამ პროგრამის ფარგლებში საანგარიშო პერიოდში გაფორმებულია ხელშეკრულებები და სოფლებში -ქვედა ონჭეიში, მექვენა, დერჩი, სოფელი წყალტუბო, ქვილიშორი, ჩუნეში, ოფურჩხეთი, გუმათი, ნამოხვანი, ჟონეთი, ჯიმასტარო, გეგბრა, ბანოჯა, ხომული, ცხუნკური, ყუმისთავი, ზედა ჩუნეში, რიონი, ზარათი, მეჩხერი, წოღა, სორმონი, ჭოლევი, ტყაჩირი, პატრიკეთი, გუბისწყალი, ჭაშლეთი, ლეხინდრისთავი, საჩხეური, დღნორისა , ზედა ონჭეიშში ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად შესყიდული იქნება მზა ბეტონი ჯამური ღირებულებით - 391394 ლარი. ამავე პროგრამის ფარგლებში სოფელ მექვენაში, ვანისჯვარში, ნოღაში და სორმონში შეძენილი იქნება სხვადასხვა დანიშნულების მასალები, ,სოფელ საყრდენიაში სასაფლაოს შესაღობად ჭედური /დეკორატიული/ ჭიშკარი.

საანგარიშო პერიოდში სამსახურის მიერ დებულებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, სამსახურის თითოეული მუშაკის მიერ დაწესებული მონიტორინგისა და ამ მიმართებით სამშენებლო კომპანიებისადმი მომთხოვნელობის გაძლიერების შედეგად, როგორც რეგიონული განვითარების ფონდიდან, ასევე ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებული ინფრასტრუქტურული პროექტები ძირითადად ხელშეკრულებებით განსაზღვრულ ვადებში შესრულდა. სამშენებლო კომპანიებისათვის ერთ -ერთი სავალდებულო პირობა მათ მიერ შესრულებული სამუშაოების ხარისხთან და მოცულობებთან დაკავშირებით აკრედიტირებული საექსპერტო დასკვნის წარმოდგენაა. ყველა პროექტთან მიმართებაში ეს მოთხოვნა დაკმაყოფილებული იყო. სამუშაოების მიღება-ჩაბარება ხდებოდა კომისიურად- წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 10 დეკემბრის შესაბამისი ბრძანებით შექმნილი ჯგუფის მიერ.

სამსახურის მიერ საანგარიშო პერიოდში სამსახურში შემოსული მოქალაქეთა განცხადებების და წერილების ანალიზი გვაჩვენებს, რომ მოსახლეობისათვის კვლავინდებურად პრიორიტეტული საგზაო ინფრასტრუქტურის, სანიაღვრე არხების, სასმელი წყლის სისტემების მოწყობა, ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია. მოსახლეობის მიერ დასმული თითქმის ყველა საკითხი აღრიცხულია და რეაგირებისათვის გადაგზავნილია შესაბამის სახელმწიფო უწყებებსა და მათ დაქვემდებარებაში შემავალ ორგანიზაციებში. მოამზადებულია სხვადასხვა სახის 12 სხვადასხვა

სახის საჯარო ინფორმაცია ინფრასტრუქტურისა და ურბანული განვითარების, სატრანსპორტო და გარემოსდაცვით საკითხებზე და ა, შ).

სანგარიშო პერიოდში სამსახურის მიერ გაცემული იქნა 8 ნებართვა საცხოვრებელი სახლის მშენებლობაზე , 3 ნებართვა კომერციული დანიშნულების ობიექტის მშენებლობაზე, 62 ნებართვა კერძო საკუთრებაში არსებულ სასოფლო- სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის გაყოფა-გაერთიანებაზე. ექსპლუატაციაში იქნა მიღებული 8 შენობა- ნაგებობება.

სამსახურის უფროსი: მ. ჩხეიძე